# ექო

ყოველდღიური გაზეთი

№ 25

წელიწადი პირველი

1913

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 1 დეკემბერი.

მისამართი: Кутаис, редакция газ. „ЭХО“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი“

29, 30 ნოემბერის და 1 დეკ.

ახალი პროგრამა.

განყოფ. I.

პატე-ჟურნალი № 244-ე

II.

„დრამა ნადირობის დროს“

(საშინელი ისტორია)

ანტ. ჩეხოვის მოთხრობიდან 3 ნაწილათ.

III.

„თუ რეცხვით ჯრა სრიალით მაინც“

(კომიკური).

დრაფი ბიზერი ტრიკო მაუდი.

პაუზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაპოზოვი და ბ. გ. ოზანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი

საზამთრო საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება

იაფათ ნაჭრები.

ველვეური გენუაა იდეალი ფლორა.

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| ე. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—ღოსტაქარი, ქალთა, სახებით | 11—12 |
| შ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებით, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. ჴ.

დიდი იაფი ვაჭრობა

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(კოლონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

1 დეკემბრიდან ქუთაისსა და ბაღდადს შუა მიმოსვლის გასაადვილებლათ მოქმედებას იწყებს მ. ა. შალამბერიძის რეზინის შინებიანი

დ ი ლ ი ჟ ა ნ ი.

ბილეთის ფასი 3 აბაზი.

დილიჟანი ქუთაისიდან გავა ყოველდღე ნაშვადღევის 1 საათზე, დაბრუნდება ბაღდათიდან დილის 7 საათზე. დილიჟნის კანტორა მოთავსებულია ალექსანდროვის ქუჩაზე სიმონ თედორაძის შენობაში.

გამოვიდა გასასყიდლათ ნოტებზე გადაღებული ლექსი:

„ზ მ ნ ა ც ვ ა ლ ე“

ა. გრიშაშვილის და ი. სარაჯიშვილის სურათებით.

ფასი ხუთი შაური.

ვ...ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

ღამე ჩესტნოფონი

ექიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშვთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

ექიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

ა ქ ი მ ი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

ა ქ ი მ ი კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

ექიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.


## ნუ გადააჭარბებთ!..

ჭეშმარიტათ გასაკვირი ვიქნებოდით, რომ მეზობლებთან სოლიდარული ცხოვრება არ შეგვეძლებოდა, მაგრამ შესაბრალისნი ვიქნებით თუ ვისიმე ქვენა განზრახვებით აღსავსე ჩვენდამი მომართულ მუჯლუგუნს ყური მივუყრუეთ და კულისებს იქით დარაზმულ ლეგიონს სომეხთა ბურჟუა—შოვინისტებისას გულისთქმათ ვერ მივუხვდით. მაგრამ ან კულისები სადღაა? ამ ვაჟბატონებს კაი ხანია გამომწვევი პოზა მიუღიათ და თავხედობასაც აღარ მალვენ, მათი ლტოლვა სურვილი აწ საიდუმლოების ბურუსით მოცული აღარაა, ყველაფერი ცხადი და ნათელია და მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით არც ჩვენ დავბრმავებულვართ სავსებით, რომ მტერთა მომაკვდინებელი ტენდენციების სიგძე-სიგანე შეუმჩნეველი დაგვრჩეს. მტრებს საკუთარი ერისას ენის დამაცხრობელ სხვერპლათ ჩვენ ამოუღივართ ნიშანში და არ ზოგავს ძალას, არ ზოგავს ღონეს, ენერგიას, ცბიერებას, გაიძვერობას და ათას სხვა ამგვარ მომაკვდინებელ იარაღს ჩვენს დასამარცხებლათ და ყველაფერი ეს რისთვის? რატომ? პრინციპიალურ ბრძოლას ჩვენ ქართველ ბურჟუასთანაც არ ვერიდებით, რადგან ჩვენი და მათი იდეაიდეალები ორ კონტრასტათ ქცეულა და განსაკუთრებული სამტრო რა უნდა გვქონდეს ჩვენ სომხის ბურჟუაზიასთან? აი, კითხვა რომელსაც დასაბამი მათი შოვინისტური ტენდეცია-პოლიტიკისაგან მიუღია... ვართ, ვსდუმვართ თუ არაკინ „უკანონოთა და უპრაგონოთ“ გაქელვა არ განიზრახა ჩვენი, მაგრამ თავხედობას არავის შევარჩენთ, და ვინც ჩვენსკენ მახვილს შემოაბრუნებს, იგი იმასაც იგრძნობს, რომ მას ჩვენი სახით არც თუ ფრიად სუსტი და უძლური მოწინააღმდეგე ყავს. ვის დამცველებათ გამოდიან, რომელ კერპს უკმევენ გუნდრუკს, ვის თვითარსებობას უდგიან „ფხიზელ დარაჯათ“ სოლოლაკელი პლუტოკრატები? რა სურთ, რა უნდათ? სომხის დემოკრატია ისე დაშორებულია შოვინისტურ სულისკვეთებას, ვით პატივცემული სოლოლაკელნი ყველასთვის სავალდებულო ზდილობა—ეთიკას, სომხის ერი, სომხის მშრომელი ხალხი მეზობლებთან იმ თავითვე კეთილგანწყობილების ძებნაში იყო და ამ სომეხთა ერის არამკითხე მოსარჩლეთ რა აკაკანებს, რა აყეფებსთ, რა უნდათ?

ქართველ ერს ჯერ კიდევ დიდხანს არ დაავიწყდება მათი ოინები შეოთხე სათათბიროს არჩევნების დროს, მათ მიერ არჩეული კარლო ჩხეიძის აჩრდილი მუდამ „განხეთქილების ვაშლათ“ დარჩება ჩვენსა და მათ შორის; თფილისში მოკალათებულ ხატისოვებს კვლავ ბევრჯერ გაახსენებენ იმ თავხედობას, რომელსაც ადგილი ქონდა მისი მხრით პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის არჩევის დროს, აწ უკვე საისტორიო გახდება, მისი სიტყვები—„თუ პოლიტეხნიკუმი საბურთალოში აშენდა ქალაქის გამგეობა მას ერთი გროშითაც არ დაეხმარება“... რას ნიშნავს ყველა ეს, ნუთუ ჩვენი დედა ქალაქი მათ სათარეშო მოედნათ ქცეულა, ნუთუ ქართველთა დედაქალაქის ბედს სავსებით იგინი განაგებენ? აწ ჩვენთვის გასაკვირი არაა, თუ რა მიზანი ქონდა „ორიზონს“ როდესაც ჩვენი ტერიტორიის გამიჯვნის შეუდგა და ბძანა: „აბელიანს ერივანში აუგოთ ძეგლი და შოთა რუსთაველს-ქუთაისშიო“. ცხადია „ჰორიზონი“ და მისი სულის ჩამდგმელნი, ეს სომეხთა პლუტოკრატიის „ნაფიცი დამცველნი“ თფილისს განზრახ სტოვებდენ- რათა ქართველთა დედა ქალაქში მომავალში ხატისოვისთვის აეგოსთ ძეგლი, რომელიც აწ ისტორიული პირი შეიქნა თავისი „წრფელი ამბორით“... ნდობის მოსახვეჭათ, სოლოლაკის პლუტოკრატია და მისი „ოპეკუნები“, ძველ დავთრებსაც კი შლიან და ნემიროვიჩ-დანჩენკოების მეოხებით გუკასოვ-შელიქოვების სახით ძველ თამასუქებს ფურცლენ მათ თვალთა წინაშე, ვისი ნდობაც მათ სჭირიათ, სურთ არქეოლოგიური ნაშთებით განაბრწყინონ აწმყო თვისი და მიზანსაც აწევენ, ფაქტები უკვე თვალსაჩინოა. მაგრამ ამ გზით, ამ გვარათ ლტოლვათა გამართლება რაკი მათ საკუთრებას შეადგენს, მათთვისვე დაგვილოცნია, მელიქოვ-გუკასოვ-ციციანოვებმა რა გაგვიკეთეს, რა ღვაწლი და ამაგი დაგვდეს, რომ იგინი ყოველი გაჭირვების ტალკვესათ ვიხმაროთ და გამოვიყენოთ? ვინ იზამს ამას თუ არ ფლიდი და მლიქვნელი? მაგრამ სოლოლაკელი პლუტოკრატია ხომ იმ თავითვე „ტაქტიკისა“ და „პოლიტიკის“ ხალხათ ითვლებოდა, ჩვეულ გზას იგინი არც ახლა ღალატობენ და იმედია არც მომავალში უღალატებენ, რადგან მოქალაქობრივი გამბედაობა მათთვის უცხო ხილია, ამგვარი რამ მათთვის დასაბამიდან არ არსებობდა. ჩვენ იმ თავითვე უარვყოფთ ამგვარ გზას, არაოდეს ჭრელ-ჭრელი ქათინაურებით არ განგვიზრახავს ვისიმე გულის მოგება და ამას არც აწი ვიზამთ, და მათ კი, როგორც სურთ, ისე იმოქმედონ, მხოლოდ ჩვეულ მათრახებს კი ერიდონ, რადგან ჩვენი ზურგი ამას ვერ იტანს. იმერი.

## სახელმწიფო სათათბირო.

27 ნოემბრის სხდომა.

სხდომას როძიანკო თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის შინაურ და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთა მიმართ შეკითხვა და საკანონმდებლო წინადადება ტომსკის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიური და ფიზიკო-მატემატიკური ფაკულტეტის დაარსების შესახებ. განაგრძობენ მსჯელობას ობუხოვის ქარხანაში შრომის პირობების გამო საზღვაო მინისტრის შეკითხვაზე განმარტების შესახებ. მურანოვი ამტკიცებს, რომ ეკონომიური გაფიცვების დროს მთავრობა ყოველთვის მუშის დამქირავებელთა მხარეზეა.

ხაუსტოვი აცხადებს:—ეკონომიური გაფიცვები მუშათა ხელში ერთადერთი საშვალებაა ბრძოლისა. ადმინისტრაცია პროფესიონალური კავშირების დევნა-შევიწროებით მუშებს საშვალებას ართმევს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისას. ორატორს ობუხოვის ქარხნის მუშათა დაკმაყოფილება შესაძლებლათ მიაჩნია. კენჭის ყრით საზღვაო მინისტრის მიმართ შეკითხვას ღებულობენ. მიიღეს უკამათოდ ხუთი კანონპროექტი. თავჯდომარეს ადგილს გარუნსკრეტი იჭერს. მიიღეს კიდევ ათი წვრილი კანონპროექტი. მსჯელობენ მოწყალე დათა პენსიის გადიდების შესახებ. ფინანსის მინისტრის ამხანაგი ვებერი აცხადებს:—მთავრობა ალიარებს მოწყალე დათა პენსიის მხრით უზრუნველყოფის საქმის მოუწყობლობას. ვებერი თავის თავზე იღებს ამ საგნის შესახებ კანონპროექტის შემუშავებას. სათათბირო საკანონმდებლო წინადადების მიღებას სასურველათ სცნობს. მიიღეს უკამათოდ სამი კანონპროექტი. აქვეყნებენ ესდეკების მიერ შეტანილს სასწრაფო შეკითხვას მუშათა პრესის დევნის შესახებ. მანკოვსკი და მალინოვსკი შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერენ. 103 ხმით წინააღმდეგ 69 ხმისა, შეკითხვის სისწრაფე უარყვეს. შეკითხვას კომისიას გადასცემენ. შემდეგი სხდომა სამშაბათს.

## სახელმწიფო საბჭო.

29 ნოემბრის სხდომა.

სხდომას აკიმოვი თავჯდომარეობს. საბჭომ პოლონეთის ქალაქებში თვითმართველობის კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა დაასრულა. მსჯელობა გამოიწვია პროექტის მე-40 მუხლმა. ეს მუხლი ეხება თვითმართველობის მოღვაწეობაზე ადმინისტრაციის თვალყურის გდებას. შინაურ საქმეთა მინისტრის კანცელარიის სამეურნეო ნაწილის უფროსმა განაცხადა:—სათათბიროს რედაქციით ამ მუხლის მიღება ვერ დააკმაყოფილებს შინაურ საქმეთა სამინისტროს. პოლონეთში ადმინისტრაციის თვალყურის გდება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ვინაიდან იქ თვითმართველობას ახლათ აარსებენ. ზინოვიევი მეორე დიდ მნიშვნელობას აძლევს მეორმოცე მუხლს პროექტისას. იგი თხოულობს პროექტის ამ მუხლს დაემატოს აგრეთვე ისიც, რომ გუბერნატორს მიეცეს ნება ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება, თუ ის სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, არ დაამტკიცოს. დურნოვოს აზრით პოლონეთის ქალაქის თვითმართველობებს იმდენი უფლება არ უნდა მიეცეს, რამდენიც აქვს მიცემული იმპერიის ქალაქის თვითმართველობებს. კენჭი უყარეს და პროექტის მეორმოცე მუხლი სათათბიროს რედაქციით უარყვეს. პროექტის სხვა მუხლები სათათბიროს რედაქციით

მიიღეს. ხოლო მცირე შესწორება შეიტანეს. ბოლოს მთელი კანონპროექტი მიიღეს თავჯდომარე წინადადებას აძლევს საბჭოს გადასწყვიტოს—განხილულმა კანონპროექტმა თუ რა მიმართულება უნდა მიიღოს მომავალში. გრაფმა სთქვა:—საბჭომ კანონპროექტის მიღებით საკითხი უკვე გადასწყვიტა. საბჭო ამ საკითხში სათათბიროს უნდა შეუთანხმდეს. სათათბიროსთვის გადაცემა ზედმეტია. უმჯობესია შეთანხმებული კომისია იქნეს არჩეული და ეს პროექტიც მას გადაეცეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროექტი პირველათ განიხილა მესამე სათათბირომ, შემდეგ საბჭომ, მერმეთ ისევ მეოთხე სათათბიროს დაუბრუნდა და ახლა ისევ საბჭომ განიხილა. მეოთხე სათათბირომ პროექტი მხოლოდ ერთხელ განიხილა. ერთხმათ გადასწყდა პროექტი შეთანხმებელ კომისიას გადაეცეს. სხდომა მცირე ხნით შესწყდა. სხდომა განახლდა და სხდომის განახლებას შემდეგ მიიღეს 13 წვრილი კანონპროექტი. მიღებულ კანონპროექტთა შორის იყო კანონპროექტი ქალთა გიმნაზიების მოსამზადებელი განყოფილების მისწავლებელთა პენსიის მხრით უზრუნველყოფის შესახებ. შემდეგი სხდომა ოთხშაბათს, 4 დეკემბერს მოხდება.

# ახალი ამბავი.

✦ ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა და რამდენიმე აზნაურმაც ორივე გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს შეამდგომლობით მიმართეს, რომ ქუთაისსა და ტფილისში მოწვეული იქნეს საერთო, საგანგებო კრება, რათა აზნაურნი გაეცნონ, თუ რაგვარი მიმდინარეობა მიიღო პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის ამორჩევის საკითხმა.

✦ ქუთაისის მომღერალთა საზოგადოების გამგეობამ თხოვნით მიმართა შავიქვის მრეწველთა საბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა შეამდგომლობა აღსძრას მომავალი მე-XVI შავიქვის მრეწველთა საზოგადო კრების წინაშე, რომ მომღერალთა საზოგადოებას დაენიშნოს მუდმივი ყოველწლიური შემწეობა და აგრეთვე უფასოთ ეთმობოდეს მას ჭიათურის თეატრი კონცერტების გასამართავათ.

✦ ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ შეამდგომლობა აღსძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ქალაქმა აპატიოს მას ის ფული, რომელიც დრამატიულ საზოგადოებას მართებს ქალაქის გამგეობისა. საზოგადოება ხსენებულ თხოვნას იმით ასაბუთებს, რომ თეატრის ხარჯებმა იმატა და შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს.

✦ ქუთაისის ღარიბ ბავშვთა მზრუნველი საზოგადოების მართველობამ შავიქვის მრეწველთა საბჭოს სთხოვა, რათა ამ უკანასკნელმა მე-XVI საზოგადო კრების წინაშე აღსძრას შეამდგომლობა ყოველწლიური შემწეობის შესახებ.

✦ 29 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია დიმიტრი ლოგომანოვის, სოლომონ გიორგაძის, იოსებ ჩაჩავასი, არტემ ნინუასი და მიხეილ ჩიხლაძის საქმე. პირველ ორს ბრალდებოდა 1913 წლის 25 იანვარს ფულიანი ქისის გამოგლეჯა მუსტაფა ახმედ ოღლი ხელიდან სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავეთ იცნო და თითოს სამი წლით და ოთხი თვით გამასწორებელ რაზმში ყოფნა გადაუწყვიტა.

✦ ავიატორი ბესარიონ ქებურია სთხოვს შავიქვის მრეწველთა საბჭოს აღსძრას შეამდგომლობა მომავალი მე-XVI შავიქვის მრეწველთა საზოგადო კრების წინაშე, რათა კრებამ დახმარება აღმოუჩინოს მას რათა ხსენებული შეწირულობა ფუძეთ დაედვას იმ თანხას, რომლითაც მან საკუთარი კონსტრუქციის საფრენი მანქანისათვის მატორი უნდა შეიძინოს და დააარსოს კავკასიაში საფრენი-პრაკტიკული შკოლა.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს სამკურნალო განყოფილებისგან ქალაქის გამგეობამ მიიღო 1912 წლის 12 თებერვალს უმაღლესათ დამტკიცებული დადგენილება აფთიაქების გახსნისა და იჯარით გაცემის შესახებ.

✦ გურიაში თაყაიშვილებს ქონიათ დიდი ტყე, ზომით 4660 დესეტინა. დიდიხანია თურმე თაყაიშვილები ამ მამულის გაყიდვას სცდილობდენ, მაგრამ დღემდი ვერ მოახერხეს. ამ ჟამათ ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, რომ მეპატრონენი ერთ-ერთ უცხოელ ამხანაგობას შეთანხმებიან ტყის ექსპლოატაციის შესახებ, დესეტინა თაყაიშვილებს 60 მანეთად დაუთმიათ და საქმეც ამ მოკლე ხანში საბოლოოთ გათავდება.

✦ ტფილისის პირველი სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელმა ზ. არჯევანიძემ შეამდგომლობა აღსძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რათა მას ნება მიეცეს დ. ცაგერში სატყეო სასწავლებელი გახსნას გერმანიის სატყეო შკოლათა ტიპისა.

✦ ამაწინათ სენაკის მაზრის უფროსათ გადაყვანილი და შემდეგ სამსახურიდან დათხოვნილი შორაპნის მაზრის ყოფილი უფროსი ალხოვსკი თელავის მაზრის უფროსათ დაუნიშნავთ.

✦ ტფილისიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ტფილისის საზოგადოებაში განურჩევლათ ეროვნებისა დიდი მითქმა-მოთქმაა პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის არჩევის შესახებ.

✦ ვისაც საბურთალოს მიწებისთვის ას-ასი მანეთი ქონდა შეტანილი ბეთ, ზოგიერთი მათგანი, როგორც გავიგეთ, უკანვე თხოულობს ბეს. ეს მოვლენა ფრიად დამაღონებელია, რადგან საბურთალოში ადგილების შეძენა პოლიტეხნიკუმის დამოუკიდებლათ ფრიად საჭიროა, რადგან მიუხედავათ ყველაფრისა, როგორც კომისიამაც აღნიშნა და დაადასტურა, ქალაქი საბურთალოსკენ იზდება და მიწის ფასიც დღითიდღე მატულობს.

✦ დღეს ზუგდიდში „გიორგი საკაძის“ ლიტერატურული გასამართლება გაიმართება. ბრალს სდებს არ. ქუმბაძე, იცავს—გრ. ლადიძე.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ გრიგოლ დიასამიძეს განზრახვა ქონია გამოსცეს ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი ქართულ ენაზე.

✦ კავკასიის ქართული შკოლის გამგეთ წერა-კითხვის გამგეობას ნესტორ ძიძიგური აურჩევია.

✦ ფოთში ქებურიას ფრენას დიდძალი საზოგადოება დასწრებია. შემოსავალი ათას მანეთამდი ყოფილა.

## რა გზით გვებრძვიან.

(წერილი მოსკოვიდან)

ყველასგან ცნობილია ერთი მიმართულების ბრძოლის საშუალება და ფარ-ხმალი.

ყველამ კარგათ იცის, თუ როგორ სამარცხვინო როლს კისრულობდენ ესდეკები ანარქისტებთან ბრძოლაში ჯერ კიდევ იქ, სადაც ისინი გამოიჩიკენ; თავისუფლებისათვის დაუცხრომლათ მებრძოლთ ჯაშუშებათ ნათლავდენ.

თვით მარქსი, ეს მათი ქურუმთ-ქურუმი, რუსის ჯაშუშს ეძახდა ბაკუნინსა.

რაღა შორს მივალთ—ანარქისტებსა და ესერებს ისინი რას დაინდობენ, როცა თვის თანამოაზრებთან კამათში ქუჩურ პოლემიკას ეწევიან. (უკანასკნელი განხეთქილება მეუმრავლესე-მეუმცირესეთა შორის); მაგრამ ევროპისა და რუსეთის ესდეკებს ჩვენში წაწყლთა დასელებმა გადააჭარბეს.

გადაავლეთ თვალი ნარიძის უკანასკნელ ნაცოხნს, აბა, თუ სადმე შეამჩნევთ მიუდგომელი მსჯავრის ნატამალს მაინც, თუ ყოველი სტრიქონი გაჟღენთილი არაა იეზუიტური ხრიკებითა და ქამანდებით, რომელიც დასჭირებია მას მოწინააღმდეგეთა დასამცირებლათ.

როცა ესფერებისა და ესდეკების ურთიერთობას ეხება—იგი არათუ ვერავითარ მხარეს ვერ ხედავს მოწინააღმდეგეთა ღვაწლში, არამედ ანგარებით შეპყრობილს თავადაზნაურულ პარტიათა გუთვლის, მაშინ როცა ჩვენ თავადაზნაურობას ისე ვებრძოდით დასაბამიდან, როგორც დასელებს, ვინაიდან როგორც პირველნი, ისე მეორენიც, ანტინაციონალური, დეგენერატიული ელემენტებია ჩვენს ცხოვრებაში.

თუ პირველთ ჩინ-ორდენებზე გაყიდეს საქართველო და ზვარაკათ მიიტანეს იგი რუსის ბიუროკრატის სამსხვერპლოზე, მეორენი ჩვენს თვალწინ ჩაკვლას უქადიან საქართველოს სუპეროორგანონიზმსა;

თუ პირველნი ბიუროკრატიის ერთგულების ტვირთის ზიდვამ გასწყვიტა წელში, იმავ ბიუროკრატიის ლოიალიზმით შეპყრობილნი, მეორენი რუსის დემოკრატიის ლოიალიზმით ალტყინებულნი, საქართველოს თვითშეგნებისა და თვითარსებობის წინააღმდეგ იბრძოდენ მათი გამოსვლის დღიდან და ამ შემთხვევაში თვით თავად-აზნაურობას აჭარბებდენ, რადგან ხსენებული წოდება შეუგნებლათ ჩადიოდა მას, რაშიც მას ბრალსა ვსდებთ, და დასელები კი ,,შეგნებულათ'' უთხრიდენ ძირს ჩვენს ეროვნულ თვითარსებობას ჩვენ დავინახეთ, რომ ნარიძე გამოდმა გვედავებოდა, იმის მაგიერათ, რომ გამოეჩინა, მიუდგომლობა, ორი მიმართულების ღირსება-ნაკლულევანების შეფასების დროს, ისეთი მიუდგომლობა, რომელიც მოეთხოვება ყოველს სერიოზულ პუბლიცისტს.

მაგრამ, როცა არჩილ ჯორჯაძე ეხება იმავე საკითხს, რაც ბატონმა ნარიძემ თვისი სექტანტური ,,პრიზმით'' განსჯვრიტა;

როცა იგი აღნიშნავს ზემო ხსენებული ორი მიმართულების გამოსვლას და მოღვაწეობას ჩვენი ცხოვრების სარბიელზე; აღნიშნავს იმ ურცხვ პოლემიკასაც, რომელსაც მაშინ ნ. ჟ. მაიაშვილის ,,ლალის'' და სხვ. ეწეოდა;

ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე დასელების მიერ ეროვნული საკითხის უარყოფასა და მიფუჩეჩებას, (რაც საკმათ გაბედულათ უთხრა ბატონმა გომართელმა ამ უკანასკნელათ ჩვენებურ სექტანტებს)..

მაგრამ მიუხედავათ ყველა ზემოთჩამოთვლილ უკუღმართობაში მხილებისა, ესდეკებს გამოსვლისა და მოქმედების შეფასების დროს ნარიძისებურ სექტანტობას როდი იჩენს; მათ თავის ღირსებასაც არ უკარგავს.

შამისოსს ლანდ დაკარგული გმირივით მოსვენება აღარ აქვთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ამ დროს, ყვირიან, ილანძღებიან, აგინებენ არა მარტო მოწინააღმდეგეებს, არამედ ყველას, ვინც მათ დეგენერატობას მხარს არ დაუჭერს; არ ზოგვენ არც თანამოაზრეს, არც სრულიად უპარტიო პიროვნებას.

ამაგრებენ დანგრეულ პოზიციებს, მაგრამ ამაოთ: ისინი ნელნელა ააშკარავებენ ფიზიონომიას, რომლის წყალობითაც ჩვენს თვალწინ ეცლებათ ნიადაგი.

აღსანიშნავია ერთი ცოტა კომიკური, მაგრამ ფრიად საყურადღებო გარემოება.

საბრალო დასელებს ყველგან ფედერალისტები ელანდებათ, ყველა ის, ვინც მათ უკუღმართობის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, ბრალიანი და უბრალო, არა ფედერალისტი, ან სრულიად პარტიათა გარეშე მყოფი.

ის, რაც ჩვენ პრესაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდებოდა, მინიატიურაში გამეორდა მოსკოვის უნივერსიტეტში მყოფს ქართველ სტუდენტთა კულტურულ წრეში. ილია ჭავჭავაძის ეროვნულმა წრემ გადასწყვიტა (13 კაცის ხმის წინააღმდეგ,) ედღესასწაულა თამარ მეფის იუბილე. აქ არავითარს პარტიულ ინიციატივას ადგილი არა ქონია. ვგონებ, ჩვენი დასელების მეტს არავის გაუკვირდება, რომ ეროვნულმა წრემ ეროვნული სიამაყის იუბილე იდღესასწაულოს, ამით საბაბი და საშუალება მისცეს თავისი წრის წევრთ გაეცნონ წარსულს და შემდეგ ერთმანეთს თავისი აზრი გაუზიარონ.

მაგრამ დასელებს რომელი ეროვნული

## დღიური.

ჯიოკონდას სურათი პარიზში ლუვრის მუზეუმში ნახეს, აღმოჩნდა, რომ სურათი პარიზში მცხოვრებ იტალიელს მოეპარა.

— ბულგარეთის მინისტრთა კაბინეტი სამსახურიდან გადის.

— გერმანიის რეიხსტაგში სომეხთა საკითხის შესახებ მსჯელობენ.

— სახელმწიფო საბჭომ პოლონეთის საქალაქო თვითმართველობის კანონპროექტის განხილვა დაასრულა.

— სათათბიროს [illegible] გადასწყვიტეს გაზეთის გამოცემა და გაზეთის თანხათ [illegible] მანეთი შეაგროვეს.

— ბელგიის იუსტიციის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ რუსი რევოლუციონერი ბუალსკი ციხიდან განათავისუფლონ, ხოლო რუსეთს აცნობონ, რომ ბუალსკი პოლიტიკური ტუსაღია და მას ბელგია არ გასცემს.

## უფსკრულთან.

ბევრმა დრომ გაიარა მას შემდეგ, რაც მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს დავშორდით; შესწყდა ჩვენ შორის ყოველივე კავშირი: წარსული თანდათან ეხვეოდა დავიწყების ბურუსში, აწმყო ორივესთვის სხვადასხვანაირი იყო და მომავალი კი მიუწდომელი, განუჭვრეტელი.

უწინ სულ სხვა იყო: რამდენი საათი, დღე, თვე გაგვიტარებია. რა და რა პლანი ჩვენ არ შეგვიდგენია, რა და რა საკითხი ჩვენ არ გაგვირჩევია: რამდენჯერ გვიცინია ერთად, რამდენჯერ გვიტირია... ეს ყველაფერი დაგვავიწყა დრომ და როგორც ოაზისი უდაბნოში, ისე მოსჩანდა რომელიმე ეპიზოდი რამდენიმე წლისაგან მოქსოვილ ჰორიზონტზე... რაც უნდა ძლიერი, მტკიცე იყოს გრძნობა, სიშორე და დრო ყველაფერს მოკონებათ აქცევს, სიზმრათ გარდაქმნის.

და აი, რამდენსამე წელს შემდეგ შევხვდით ერთმანეთს. მაგრამ ჩვენი შეხვედრა იყო რაღაც ცივი, უგულო და უსულო. სიტყვის უთქმელათაც ვგრძნობდით რაღაც სიშორეს, ვგრძნობდით იმ კედელს, რომელიც ჩვენს შუა ამართულიყო; ვგრძნობდით უწინდელი მეგობრები, რომ დღეს მხოლოდ კარგი ნაცნობები ვიყავით და სხვა არაფერი.

დიდხანს ვათვალიერებდით უხმოთ ერთმანეთს, მაგრამ არ ვიცი რამდენათ კმაყოფილი დარჩა ჩემით. რაც შეეხება მე, ძლიერ გამაოცა მომხდარმა ცვლილებამ. რა იქნა ის მხიარული, ცელქი, სიცოცხლით სავსე ადამიანი? რა იქნა ის ალტაცება, აღფრთოვანება, რომელიც მისს ჭკვიან სახეზე იხატებოდა? ის ცეცხლი, რომელიც მისი თვალებიდან გამოკრთოდა? ან ის ნათელი შუბლი, ის ღია სახე, რომელიც ისე მიყვარდა?... ეს ის არ იყო, ეს არ იყო ჩემი მეგობარი:—სულ სხვა, უცხო თითქმის. ჩემს წინ იდგა: წელში მოხრილი, წარბებშეკრული, დაღვრემილი, სახე ბინდგადაკრული, ღრმა მწუხარება და დარდ აღბეჭდილი, მოდუნებული, მოქანცული, თვალებ-მიმქრალი ადამიანი.

—რა დაგმართნია? აგრე რამ გამოგცვალა?—შევეკითხე გაოცებული.

—რა დამმართნია? არ მოელოდი განა? —მიპასუხა მან მწარე ღიმილით და უცებ წარმომიდგა თვალ წინ სიკვდილის ემბლემა დაკრეჭილის კბილებით, ჩავარდნილი თვალებით.

—სახეზე უზომო მწუხარება, უზომო ნაღველი გეტყობა..

—ოღონდაც, ჩემო კარგო: როცა დღე-და-ღამე, როგორც შენი ჩრდილი, თან დაგდევს შენის ხელით სიცოცხლეს გამოსალმებული ადამიანის სული, რაღა უნდა დააჩნდეს სახეს თუ არა ტანჯვა და მწუხარება!. ეს სიტყვები ისეთი კილოთი იყო ნათქვამი იმდენი შიში, იმდენი კვნესა იყო შიგ, რომ უცებ გული ამიჩუყდა და ცრემლები მომერია. მინდოდა გადავხვეოდი ჩემს ძველს მეგობარს, მაგრამ რაღაც უცნაურმა ძალამ შემაჩერა, და მხოლოდ კითხვის მიცემა მოვახერხე:

—გამოსალმე? ეს რას ნიშნავს?—

—მერე, მერე, მერე... ახლა კი თავი დამანებე. მოდი ამაღამ იქ, გახსოვს ჩვენი საყვარელი ადგილი? მოდი იქ და გაიგებ ყველაფერს... ახლა მომშორდი...

მითხრა ეს და თვითონ მომშორდა. მთელს სხეულში რაღაც ჟრუანტელმა დამიარა. გულმა მითხრა: ნუ წახვალო, მაგრამ გონებამ დამიშალა. რა უნდა მომხდეს ისეთი, ვეკითხებოდი ჩემს თავს და შინისკენ ანგარიშმიუცემლათ მივდიოდი. ასეთი უცაბედი შეხვედრა, ამაღამ მთაზე წასვლა და ვილაცას სიკვდილი. საშიშარიც იყო ჩემი მდგომარეობა და მაგრამ თან ცნობის მოყვარეობაც მიტაცებდა.

მოუთმენლათ ველოდი ღამეს და როგორც კი ჩამობნელდა, როგორც კი მთა თხელ ღამის ნისლში გაეხვია, მთვარემ ოდნავ შეათეთრა არემარე და ცამ ცნობის მოყვარეთ გადმოხედა ქვეყანას, გავეშურე დანიშნული ადგილისკენ, რომელიც არც ისე ახლო იყო ჩემი ბინიდან...

...ის უკვე იქ იყო. იჯდა სწორეთ იმ ქვაზე, რომელზეც არა ერთხელ და ორჯერ ვმჯდარვართ მე და ის. თავი ხელებზე დაეყრდნო და გარინდებული, უძრავათ სივრცეს გასჩერებოდა. მეც ჩამოვჯექ იმ ქვაზე. ის არც კი განძრეულა.

საუცხოო ღამე იყო. რაღაც არა ქვეყნიურს გაგრძნობიებდა ჩუმი, წყნარი ათასი თვალით განათებული, მკრთალ ლეჩაქში გახვეული არემარე. მთას იქით, წყალგაღმა, უზარმაზარი მიდორი გადაჭიმულიყო და აქა-იქ გაბნეული პატარა ხის სახლებიდან, ოდნავ მბჟუტავი სინათლე გამოკრთოდა. ხანდახან შორიდან მოისმოდა კანტი-კუნტათ ძაღლის ყეფა. ალბათ დაუდალავი დარაჯი, უკანასკნელათ უვლიდა ეზოს გარშემო. დაყეფდა ერთს, მას მისცემდა მეორე ხმას და რაკი დარწმუნდებოდა, რომ საშიში არაფერი იყო, თავდახრილი გაბრუნდებოდა საყვარელი ადგილისკენ, რომ ცოტა ხანს მოესვენა ფრთხილი ძილითა და გაორკეცებული ძალით დასძგერებოდა სამტროთ მოსულ ძალას. ისევ სიჩუმე, ისევ დუმილი მოიცავდა ყველაფერს. ამ დუმილს ვერც ხ—ის მდინარე არღვევდა, რომელიც სწორეთ იქ, სადაც ჩვენ ვისხედით ორ კლდეს შუა მომწყვდეული ყირამალა გადადიოდა და აქაფებული გაირბენდა რა რამდენსამე მანძილს, ისევ დაწყნარებული, დამშვიდებული, ნელის ზლაზვნით გაიშლებოდა უზარმაზარ ჭალაზე. ნაპირებიდან უშიშრათ აფრინდებოდა ციცინათელა და თვალის ხუჭვით ნელნელა მისრიალობდა ხან ალმა და ხან დაღმა. ტყე, რომელიც უხვათ ფარავდა ორივე მხარეს, თითქოს დამფრთხალი შეიშრიალებდა და შემდეგ შეშინებული თავისივე ხმაურობით, უცებ შედგებოდა, შეაჩერებდა ფოთლების ფრიალსაც კი და სულგანაბული ყურს უგდებდა მდინარის ხუილს.

ის ადგილი, სადაც ვისხედით ჩვენ, ძლიერ მაღალზე იყო, და უცაბედათ დაგორებული ქვა გამალებულის ხტუნაობითა დაექანებოდა ძირს, მიხტოდა რამდენსამე წამს და როცა უცებ დაეცემოდა მდინარეს, შეშინებული ტალღები, ელვის სისწრაფით მიმოფანტავდა მარგალიტებათ შხეფებს.

—

— ყურს მიგდებ?—თითქოს ჯურღმულიდან მომესმა ხმა, და დუმილიდან გამომარკვია.

— დიახ!—ჩურჩულით ვუპასუხე მე და სმენათ გადავიქეცი.

— ერთჯერ,—დაიწყო მან მცირე პაუზას შემდეგ,—სადამოზე ვიყავი. ისეთი ხალხი შეიკრიბა, რომელთანაც მე არაფერი საერთო არ მქონდა, და უცხოთა შორის, მეც უცხო, უცნობი მარტო დავეხეტებოდი. მომწყინდა და ის იყო დარბაზის კარებიდან გავედი, რაღაც უცნაურმა ძალამ შემაჩერა, მომატრიალა და ჩემი თვალები შეხვდენ იმის თვალებს, ვინც ჩემი ბედნიერებისა და თან უბედურების მიზეზათ შეიქნა. ჩემს წინ იდგა საუცხოო ქმნილება, თვით ღვთაება, რაც შესხმული. ცეცხლის მფრქვევი თვალები, ვით უცხო მარგალიტი, გძელი წამწამებიდან გამომყურენი, გულის სიღრმემდი სწვდებოდენ; საოცნებო ღიმილს, ოდნავ გაეყო, ალისფერი ტუჩები, საიდანაც ელვასებ გამოკრთოდა თოვლივით თეთრი კბილები. შავი, ვით ბნელი ღამე, თმა ედემის ბაღივით აკეკლუცებდა მისს ლამაზ თავს, ბროლივით კისერი, ნათელი ვით ფიფქი, ოდნავ გვერდზე გადახრილი, აერთებდა კეკლუც თავს მოსხლეტილ სხეულთან, რომელსაც ფარავდა სადა, მარტივი, საოცარი გემოვნებით შეკერილი ქსოვილი. თითქოს სპილოს ძვლისაგან გამოჭრილი ხელით, რომელსაც ამკობდენ, პატარა ბროლივით თლილი თითები, კოხტათ აეკრიფა კაბა, რომლისაც მოსჩანდა ჩამოსხმული, პაწია, გონებისა და აზრის დამბნევი, გრძნობის ამშლელი ფეხები. ვით უკვდავი ხელოვანისაგან გამოკვეთილი ქანდაკი, ქანდაკი სიცოცხლით სავსე, გრძნობა მოჭარბებული იდგა იგი, და მთლათ ჩემი არსება: აზრი, გონება, გრძნობა ერთ წამს, ერთი შეხედვით დაიმონავა. ერთჯერ შემომხედა, მხოლოდ ერთჯერ გამიღიმა... ა-ახ! მზათ ვიყავ იქვე გამქრალიყავ... მისი თვალი, ღიმილი, ჩასწვდა გულს და ისე ტკბილათ, მაგრამ ამასთანავე ისე მწარეთ დასჭრა იგი, რომ სამოთხის ნე-

# ბრა ბრცხვენია?

—:—

ოხ, ღმერთო ჩემო, არც კი გრცხვენია?
რამდენჯერ უნდა გაგიმეორო,
რომ ჩემი კვნესა და ტრფობა ჩემი
შენშია მხოლოდ სულისა სწორო!

ნუ თუ ვერ იგრძენ, შენგან შორს მყოფი
განშორების ჟამს მე ვით ვკრუსლავდი,
და ჩემს ოცნებას უბიწო მკერდზე
ჩაკონებული მხოლოდ შენ ყავდი?

აღარც ის გახსოვს, რომ ჩემი ფიქრი
შენს შავს ზღვა თვალებს ნაზ ამბორს სძღვნიდა?
შენს გიშრის თმებს რომ ცრემლებს ვაფრქვევდი,
ეგებ, აწ ესეც კი დაგავიწყდა?

მეხსიერება გღალატობს კარგო,
არ გიღალატოს აწ სიყვარულმა!
გონებამ, რაც სურს, ის გიკარნახოს,
მხოლოდ ჩემზე კი იფიქროს გულმა!..

29 ნოემბერი. გუცა.

დაწესებულება დღუტოვებიათ დაუწიხლავი, რომ ეს გამორჩენოდათ. აქაც გამოჩნდენ ორიოდე დეგენერატი, რომელიც ჯერ ეწინაალმდეგა ამ ნაბიჯს სტუდენტებისას, და როცა მათ ჯიუტობას ანგარიშიც არ გაუწიეს, ასტეხეს განგაში:—არიქა, გვიშველეთ, ფედერალისტებმა ხმის უმეტესობით გვაჯობესო. აქაც ფედერალისტები მოელანდათ — მაგრამ ჩავყვეთ ქვევით და დავინახავთ რათ დასჭირდათ მათ ასეთი ყვირილის ატეხა.

ეტყობათ, ეს უსუსური სეკტანტები კარგათ დაუგეშია ღირსეულ მასწავლებლებს.

გამოხტა ვიღაც Yoldemar-ი მიედ-მოედვა, გაილანძღა, ტალახი ისროლა, ერთიორჯერ აწ განსვენებული ენგელსიც მოიხმარია,—და იმდენი თავხედობა გამოიჩინა რომ „უკულტურო“ უწოდა ილია ჭავჭავაძის წრეს, და რომ თავისი კულტურულობა უზრუნველ ეყო და ისე არ მოსვლოდა როგორც ცნობილ ბერძენს, რომელიც ამბობდა—ყველა ბერძენი სულელია, აილო და თავისი სახელი გადაბრუნა და ლათინური ასოებით დასწერა. არა, მოწყალეო ხელმწიფევ! ყველაფერი ეს არ კმარა, რომ კულტუროსნობის სახელი იშოვო, ვერც ისაა კულტურულობის ატრიბუტი, რომ სხვას უკულტურო უწოდო. ასე სხვისი ლანძღვითა და აბუჩათ აგდებით რომ შესაძლო ყოფილიყო კულტურულობის შოვნა, მაშინ იგი ერთის მაგიერათ ხუთი ექნებოდა ყოველ ესდეკს.

ჩვენ არ შევეხებით იმას, თუ რამდენ სიყალბეს ჩადის Yoldemar-ი, როცა კორესპონდენტებს ეხება, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, თუ როგორი ელეთ-მელეთი მოსდის მას თვით ფაკტის გადმოცემის დროს. ერთი რომ დასელებს თამარ მეფის იუბილეს საკითხში ეწინაალმდეგებოდენ არა მარტო ფედერალისტები, დასელების უკუღმართობას წინაღუდგენ ისეთი სტუდენტებიც, რომელნიც არც-ერთ პარტიას არ ეკუთნიან (ასეთნი კი თითქმის დიდ უმრავლესობას შეადგენს წრისას).

მაშ რაღ ათქმევია ბატონ Vo—mar-ს სოც.-ფ-ებმა კულტურული წრე თავის ორგანიზაციით გაიხადესო? მაგრამ აქაც იგივე გალიუცინაციაა, აქაც ფედერალისტები ელანდება.—ასე რომ წრის უმრავლესობა, რომელიც დასელთა აზრს არ იზიარებს, ესფერებია. კიდევ მეტი არევდარევა მოსდის მას. „სიმონ ქვარიანის მოწაფეებმა ნათლავს“ ხსენებულ უმრავლესობას. თუმცა იუდა მახარაძის მოწაფეობას კიდევ სიმონ ქვარიანის მოწაფეობა სჯობია, მაგრამ სიმონ ქვარიანი რა შვაშია აქ? რა საერთო აქვს სიმონ ქვარიანს ესფერებთან. ეს სიბრმავეა.

რომ წერილის თავში მოყვანილი დებულება დავასაბუთო, ბატონ Yoldemar-ს შემდეგს შევნიშნავ:

გეხსომებათ, როგორ აწამეს დასელებმა ერთი ჩვენი თანამოაზრე ბატონი „ისარი“ რომელმაც ისინი ნამდვილი სახელით მოიხსენია ერთ თავის წერილში. მაშინ როცა მთელი რუსეთის პრესაში—დასელებს ს. დ—ებს ეძახიან.

და ამისთვის „ისარს“ ჯაშუში და პროვოკატორი უწოდეს.

ბატონი Voldemar-ი კი იმ ზომამდი მიდის, რომ კულტურულს ნეიტრალურ ორგანიზაციას, სადაც ქართველ სტუდენტობას შეძლება აქვს ქართულად ილაპარაკოს (ვინაიდან სათვისტომოს კრებებზე აკრძალულია სამშობლო ენაზე ლაპარაკი), უწოდებს ს. ფ—ტთა ორგანიზაციას—აქ საფრთხეში აგდებს მთელ წრეს, რადგან იგი ხსენებული პარტიის ადგილსამყოფელადაა აღიარებული მისს წერილში.

მერე როგორ დროს? ამ ბოლოს ქართულ წრეებს რომ სდევნიან, ყველასთვის ცხადია. საკმაოა, გავიხსენოთ, რომ მოსკოველმა ქართველმა ქალებმა ითხოვეს ქართველ ქალთა სათვისტომოს ნებართვა და მთავრობამ უპასუხა „თქვენ კავკასიური სათვისტომო გაქვთ და ის გეყოფათო. (ამ აზრს არც ესდეკები ეწინააღმდეგებიან.) ასე დევნილია რუსეთში ყველაფერი ის, რასაც ეროვნული ქართული ელფერი აქვს.

და ასეთ მომენტში რა უნდა ვუწოდოთ ბატონი ვოლდემარის სიტყვებს: „იდ. ჭავჭ. კულტურული წრე სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაციათ გახდაო“ იხ. „მერცხალი“ № 81, 83.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, ესდეკები როგორი ჰარმონიით მოქმედებენ და ადგანან იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგია ჭეშმარიტ რუსთა კავშირი.

როგორც პირველნი, ისე მეორენი აშკარათ ებრძვიან ყველაფერ იმას, რასაც კი ეროვნული ელფერი მიეცემა. ჩვენ ბატონი Voldemar-ის კორესპონდენციას ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ მას ურცხვათ შავრაზმელათ არ მოვენათლეთ, მაგრამ ჩავყვეთ ქვევით და დავინახავთ, ვინ უფრო ენათესავება Кievлянин-სა და მის თანამოაზრეთ: გავიხსენოთ ის, თუ როგორი თავგამოდებით იცავენ ესდეკები რუსის სახელმწიფოებრივ მთლიანობას და ამის დასასაბუთებლათ მივმართავთ ისევ დასელთა ბაპის, ნარიძის უკანასკნელ წერილებს, სადაც ჩვენ უკანასკნელს, ძალმოკრეფილ გამოლაშქრებას ვხედავთ ეროვნული თვითარსებობისა და ეროვნული თვითშეგნების წინაამდეგ.

მოვიგონოთ როგორ ეზარებათ მათ თვით გეოგრაფიული ტერმინის „საქართველოს“ ხმარება და მის ნაცვლათ ადმინისტრატიული ტერმინები: კავკასია, ქუთაისისა და თფილისის გუბერნია აკერიათ მუდამ პირზე.

მოვიგონოთ, როგორ ეწინააღმდეგებოდა თავისს დროს ერთი ბელადი დასელთა თვით ისეთი ეროვნული ლამპარის ანთებას, როგორიცაა ქარ. შორის წერა-კითხ. საზოგადოება. და როგორ ულრენს მას დღესაც დასელთა პრესა.

ბოლოს, სულ გუშინდელი ამბავი: კარლო ჩხეიძემ შეკითხვა შეტანა სათათბიროში ამიერკავკასიის შიმშილობის შესახებ.

ბ. დეპუტატს ის ვერ მოუხერხებია ეთქვას: ქართველი ხალხი დამშეულია—დასავლეთი საქართველო შიმშილს განიცდის, მაინც ამიერკავკასიას ედება, მაშინ როცა ეს ტერმინი სრულიად გამოუსადეგარია ამ შემთხვევაში.

შიმშილობაა არა ამიერკავკასიაში საერთოდ, არამედ დასავლეთ საქართველოში კერძოთ.

აქ მარტო გეოგრაფიული ტერმინების არევა როდია, არამედ ამ შემთხვევაში სომხის პლუტოკრატიის დეპუტატს იგივე მოსაზრება ალაპარაკებს, რაც მთავრობას, როცა იგი სდევნის თვით ტერმინს „საქართველოს“.

და რამდენი რამ უნდა გავიხსენოთ, რამდენ რასმე უნდა გადავაცალოთ დროთა მტვერი, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორი გულმოდგინებით აწარმოებდენ ჩვენი დასელები ვოსტორგოვების პოლიტიკას ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენი ესდეკები გაკვირვიან: ესფერები უმართებულოთ გვებრძვიან—ხმის უმრავლესობით გვჩაგრავენ—,,ნეიტრალურ წრესაც კი თავის ორგანიზაციათ სთვლიან.

რა მოხდა?!

არ მოსწონთ, რომ მათი თითის გაქნევაზე არავინ ხტუნავს ძველებურათ,—მაგრამ მაინც არ იტეხენ იხტიბარს.—

ყვირიან მაშინაც, როცა სიყალბეს, უნიადაგობას, დეგენერატობას ამხელენ...

რა აყვირებთ? ის, რომ ძველი დრო წავიდა, ვითა სიზმარი ღამისა—დრო, როცა მათი „ვეტო“ კანონი იყო.

ბატონ Yoldemar-საც ეს აწუწუნებს.

ფედერალისტებმა წრე ხელში ჩაიგდეს, ხმის უმრავლესობით თავისი გაიყვანესო.

რომაელების გადაყენებულ სარდლებს, როცა ხელმეორეთ ჯარის უფროსათ ამორჩევა მოუნდებოდათ, ამგვარ ხრიკს მიმართავდენ: გამოვიდოდენ ჯარის წინაშე, თან გაიტიტვლებდენ იმ ნაწილს ტანისას, სადაც ოდესმე ჭრილობა ქონიათ.

ჩვენი ესდეკებიც ამ მოსაზრებით ტიტვლდებიან, იხდიან პერბალეს და, მათდა საუბედუროთ, გმირობის ჭრილობის ნაცვლათ, სამარცხვინო დაღებს აშკარავებენ.

ასე მოუვიდა ერთს ახლათ გამოჩეკილ დეგენერატ კორესპონდენტს Voldemar-საც. ასეთი დაღი გამოიჩინა მან თვითვე თავის პროვოკაციით:

ასე მოსვლია და მოსდის ბევრს სეკტანტ ესდეკს.

მოსკოვი. სამშვილისამშუს.

P. S. 23 ნოემბერს მომხდარს ილია ჭ. კულტურ. წრის კრებაზე, ხმის უმრავლესობით დაადგინეს:—გაიკიცხოს ხსენებული წრის წევრი ბატ. Voldemari თავისი უკულტურო საქციელის გამო.

და მისი პროვოკაცია (გაზეთ „მერცხლის“ საშვალებით გავრცელებული), თითქოს ქართული კულტურული წრე სოციალ. ფედერალ—ტთა ორგანიზაციათ იყოს გამხდარი—ცილის წამებათ ჩასთვალა. (იხ. კულტ. წრის 23 ნოემბრ. კრ. ოქმებს. ს—მუს.

## აქ-იქაური.

ჯერ არ შობილა, და გადაიცვალა... ნავთლუღში დაკრძალეს იგი. „სოლოლაკელნი“ ზეიმით მიეგებენ ამ მოვლენას...

დაკრძალეს...

მას სიცოცხლე უნდოდა, კარგი ჰავა, ნიადაგი, გაშლილი, ფართო მიდამო და ნავთლუღის ხროკებში-კი, სასაფლაოსთან, სასაკლაოსთან გაუსკვნეს სამარხი.

იყო ბრძოლა: ცალკე, ცალმხარეს ყველაფერი, მეორეს—არაფერი... მაგრამ ეს „ყველაფერი“ ჩაყლაპა ფულმა...

ასე იწირავს საზიზღარი ლითონი ბევრ სამართლიანობას, სიმართლეს... დ.

## დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ).

### რ უ ს ე თ ი.

**ნოვოჩერკასკი.** აგრონომთა კრებამ, რომელიც უკვე დაიხურა, დაადგინა. მიღებულ იქნას ყოველგვარი ღონისძიება კოოპერატივთა გასავრცელებლათ. აგრეთვე გადასწყვიტა, რომ აღძრულ იქნას შუამდგომლობა ინსტიტუტის დაარსების შესახებ, საიდანაც უნდა გამოვიდენ კოოპერატორთა ინსპექტორები.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ კავკასიაში ტყის დამცველი კომიტეტის დაარსების კანონპროექტი მოიწონა.

„ვეჩერნია ვრემია“ რედაქტორი გრადონაჩალნიკმა 500 მანეთით დაჯარიმა. გაზეთში მოთავსებული ცნობა, ვითომ შინაურ საქმეთა მინისტრი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის მიეწეროს, რომ [illegible] ტოის სახელობის [illegible] ბით [illegible] შეკრები ბიური იუწყება, ტყუილია.

### უ ც ხ ო ე თ ი

**რომი.** სოციალისტთა შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს მთავრობა ათასი რუსი პოლიტიკური ტუსაღის სასარგებლოთ გერმანიაში მოძრაობის შესახებ, გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში შემდეგი სთქვა:—მთავრობას არ შეუძლია სხვა სახელმწიფოს შინაური პოლიტიკის საკითხში მონაწილეობა მიიღოს, ვინაიდან ეს სახელმწიფოთა შორის განწყობილების წეს-რიგს ეწინააღმდეგებაო.

**ბერლინი.** ბიუჯეტის შესახებ მსჯელობის დროს ელზას ლოტრინის ლანდტაგის თავჯდომარე დაკლინგი ტაბერნის ინციდენტის ამბავს შეეხო ორატორმა განაცხადა: — ელზასელები, როდესაც საფრანგეთის ხელში იყვენ, სარგებლობდენ პოლიტიკური თავისუფლებით. ელზასელები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ ერთსულოვნებას, რომელიც გამოიჩინა რეიჰსტაგში ცაბერნის საკითხის დროს, დეპუტატთა უმრავლესობამო.

**პარიზი.** დუმერგმა მეორეჯერ წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა აუცილებელი საჭიროება მემარცხენე რესპუბლიკანელების გაერთიანებისა.

**დიბლინი.** გაიფიცა მუნიციპალიტეტის ხუთი ათასი მუშა. ქალაქის თვითმართველობებში ყოველგვარი მუშაობა შესწყდა.

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოებს გაუგზავნა ლონდონის, ბუქარესტისა და ათინის ხელშეკრულობის ტექსტი. ტექსტის გაგზავნას ის მიზანი ქონდა, რომ სახელმწიფოებს გაეგოთ კუნძული კრიტოსი ვის ეკუთნის. როგორც კრიტოსი, ისე სხვა დაპყრობილი ადგილები, საბერძნეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენსო.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციის სხდომაზე ეპონმა სთქვა—აუცილებელ საჭიროებათ მიმაჩნია რუმინიასთან დამოკიდებულების გაუმჯობესება. არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ ავსტრო-უნგრეთი დიდი სახელმწიფოა, რუმინიის სახელმწიფოს ხელმძღვანელთ უნდათ, რომ ავსტრო-უნგრეთმა ნაციონალურ პოლიტიკას უღალატოს. ორატორი პროტესტს აცხადებს ბუქარესტში ჩერლინის დანიშვნის გამო. ჩერლინი უნგრეთის სახელმწიფოს წინააღმდეგი აზრის გამომხატველიაო. ჩერლინის დანიშვნის საკითხში ორატორი ტისას სისუსტეში სდებს ბრალს. ავსტრიის დელეგაციის სხდომაზე ჩაიკოვსკი აღნიშნავს ავსტრო-უნგრეთის მდგომარეობას და ეხება მის მნიშვნელობას პოლონელთათვის. ალბანეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებამ არ შეიძლება პოლონეთის ხალხზე დიდი გავლენა არ იქონიოსო.

**ბერლინი.** გაფიცული ამხანაგების თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ გერმანიის ყველა უნივერსიტეტის სტუდენტები გაიფიცენ.

**რომი.** პარლამენტის სხდომაზე სახალხო განათლების მინისტრმა ფლორენციიდან დეპეშა მიიღო იმის შესახებ, რომ ჯიოკონდას დაკარგული სურათი პარიზში ლუვრის მუზეუმში აღმოჩნდაო. ამ ცნობამ პარლამენტში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგიერთი დეპუტატი მინისტრს ულოცავდა დაკარგული სურათის ნახვას.

**პარიზი.** დუმერგი დეპეშით გამოელაპარაკა საზონოვსა და გრეის. გამოითქვა სურვილი, რომ საფრანგეთ რუსეთის კავშირი და საფრანგეთ-ინგლისის მეგობრული დამოკიდებულება გაძლიერდეს. გაზეთი „ტანი“ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ კმაყოფილებას გამოსთქვამს.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში რომის დეპუტატის ფედერცონის არჩევნების დამტკიცების შესახებ მსჯელობის დროს დიდი არეულობა მოხდა. დეპუტატები ერთმანეთის პიროვნებას შეეხნენ და ერთმანეთს სცემეს კიდეც. სხდომა პრეზიდენტმა დახურა.

ჯიოკონდას სურათის გამტაცებელი პარიზში მცხოვრები იტალიელი აღმოჩნდა.

## რუსეთი.

**ბეილისის საქმე.** 26 ნოემბერს გაუგზავნა ვადა ბეილისის გასამართლებელი განჩინების წინააღმდეგ პროტესტის გან-

---

ტარება და ჯოჯოხეთის ტანჯვა მაგრძნობია: მინდოდა მისწინ მუხლი მომეყარა, მოვხვეოდი იქვე, იმ წამშივე მის საუცხოო ფეხებს და მეკოცნა, მეკოცნა, მეკოცნა სიკვდილამდი, მეკოცნა გიჟივით თავდავიწყებამდი.. მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვროდი. უცებ შეირხა ლერწამი, ზღვის ტალღა დაიძრა ადგილიდან, ჩამიარა როგორც სიზმარში ანგელოზმა და კიბის საფეხურები ელვის სისწრაფით ჩაირბინა... როგორც იქნა თ ვს ძალა დავატანე, უბედურება, ტანჯვა, წვალება... შემიყვარდა.

—

გავიდა მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი: ვეძებე ყველგან, ვეძებდი მუდამ, მაგრამ ამაო იყო ჩემი შრომა. დავკარგე მოსვენება, დამავიწყდა ყველა და ყველაფერი, მხოლოდ ის, მხოლოდ ის ერთი მახსოვდა. მთელი ჩემი არსება იმან შეიპყრო, დაიმონავა. ჩამოვხმი, წელში მოვიხარე, დავუძლურდი, დავსჭკნი, სახე დამელარა, ქალარა მომერია...ის კი ვერ ვნახე, ვერსად შევხვდი...

მის ძებნაში გადიოდა დღე, თვე, წელიწადი და ერთჯერ ერთ დიდ ქალაქში გავჩერდი. ჩემს გვერდით იმავე ბინაზე, ვიღაც ქალი ცხოვრობდა, რომელსაც თურმე მოვეწონე და დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევდა. ხშირათ უზდელათ უდიერათაც მოვექეცი, მაგრამ ვერ მოვიშორე, ვერ დავითხოვე. ყველა მძულდა, ყველა მეზიზღებოდა.

ერთჯერ დაქანცული დავბრუნდი შინ და დარეტიანებული ლოგინში ჩავეგდე. დამეძინა მალე და სიზმარი ვნახე. ვნახე ის, ვინც ცხადში ჩემთვის უხილავი შეიქნა...

— უცებ გაიღო ჩემი ოთახის კარები და მზის სხივებში გახვეული შემოვიდა ჩემი სატრფო. მის მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ სხეულს, თხელი, გამჭვირვალე ნაქსოვი შემოკროდა და ყოველი ნაკვთი სხეულისა უფრო აშკარათ, უფრო მკაფიოთ გამოეყო, გამოესახა. გაშლილი თმა ტალღებათ სცემდა მხრებზე და როგორც გველი შემოხვეოდა კისერზე, გიჟივით წამოვიჭერ და ელვის სისწრაფით ჩავიკარ მკერდში ჩემი სალოცავი ხატი. მთელ სხეულში ჟრუანტელმა დამიბრინა, თითქოს ყოველი სახსარი დაირღვა და დაიშალა. ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთმანეთში არია. მხეცური ღვთიურს გადაეწნა, ცამ და დედამიწამ თავისი საზღვრები დაშალა და საქაო საიქიოთ აქცია. უნაკლულოთ, სავსებით შევუერთდით, გავვერთდით: ყოველი ნაკვთი ჩემის სხეულის, ყოველი წვეთი ძარღვებში, ყოველი კუნჭული ჩემი სულისა, გრძნობდა მის სიახლოვს, მის სითბოს, მისი სხეულის სისწორეს, სისრულეს ერთი კოცნით მსურდა ჩემი სული სავსებით გადამეცა მისთვის, შემეწირა ყოველივე, რაც კი გამაჩნდა..- სიზმარშიც გაუმეორებელ ნეტარებას ვგრძნობდი და ბედნიერი ვიყავი.

—

... გათენებულიყო. მზემ თვისი მუხრვალე სხივებით გაფანტა ოთახში სიბნელე და ფრთხილათ, სუბუქი ფრთით შეეხო ჩემს სახეს. თვალები ავახილე, მაგრამ კიდევ ვერ გამოვერკვიე. უცებ ვიგრძენი რაღაც თფილის სიახლოვე და ყველაფერი გამახსენდა. კანილამ ჭკუიდან შევიშალე: სიზმარი ცხადში მეგონა, და დავხედე... და ლოგინში იმის მაგიერ, ჩემი მეზობელი ქალი იწვა. ზიზღით აივსო ჩემი გული.

რაღაც უცნაურმა ძალამ ასწია ჩემი ხელები და ჯერ კიდევ მძინარე ქალის ყელს, რკალივით შემოაკრა... აი ასე.

მე იმდენათ გატაცებული ვიყავი მოთხრობით, რომ ჯერ კიდევ გონს არ ვიყავი მოსული, როცა ვიგრძენი კისერზე, რკინასავით მოჭერილი მუხრუჭები. ვერ გამოვერკვიე, მაგრამ ინსტიკტურათ ვგრძნობდი, რომ ვიღაც მახრჩობდა მხოლოდ ვინ, არ ვიცოდი. ვერ ვახერხებდი ადგილიდან დაძვრასაც კი. თითქოს ბურანში, ან უკეთ სიზმარში მესმოდა, რაღაც უაზრო სიტყვები; „დავახჩე... მანმომპარა ჩემი სიზმარი“. პირველათ ტკივილები ვიგრძენი, მაგრამ რა მტკიოდა არ ვიცოდი. ბოლოს ტკივილი შესწყდა და ათასნაირმა, სხვადასხვა ფერის რგოლმა დაიწყო ტრიალი, სადღაც შორს. რგოლები ხან აირეოდა ერთმანეთში და ერთს უზარმაზარ წრეთ შეკვროდა, ხან კი ისევ პატარავდებოდა, მიახლოვდებოდა უფრო, ხან კი შორს, შორს მიფრინავდა, აიწეოდა მაღლა, მაღლა და საშინელის სისწრაფით სადღაც იკარგებოდა...

უცებ ვიგრძენი, რომ თავისუფლათ ვსუნთქავ. ტკივილი ისევ დამიბრუნდა, კისერზე არავინ მიჭერდა ხელს, რგოლებიც გაქრა. თანდათან გონს მოვდიოდი. არავითარი ხმაურობა, კვლავ სიჩუმე იყო ირგვლივ... მხოლოდ იქ ქვევით რაღაც მძიმე დაეცა მდინარეზე, ის ხმა კლდეებმაც გაიმეორეს. ხ-ის წყალი ორ კლდეთა შუა ისევ იბრძოდა, მთვარე ისევ ისე ანათებდა; ვარსკვლავები ილეულებოდა და შორიდან ჭოტის საზარელი კივილი მოისმოდა.

უფსკრულის პირთან მარტო მე ვიდექი. შოთა დადიანი.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის
(რომელიც [illegible] წარმოადგენს)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობამდე [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი.
მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ქქთომეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
ფ. ხ. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ხ. ფილიპოვი. № 10.

ცხადებას: იუსტიციის სამინისტროში დიდიხანია დაადგინეს განჩინების ძალაში შესვლა; სენატში კი ლაპარაკობდენ პროტესტის საჭიროებაზე, მაგრამ ამ მითქმა-მოთქმას განხორციელება არ ეღირსა. ბრალმდებლის ამხანაგი ვიპერი, რომელსაც უნდა გაეცხადებია პროტესტი, კიევიდან დაბრუნებისთანავე გაემგზავრა საზღვარგარეთ, საიდან ჯერაც არ დაბრუნებულა.

**კასოს და სახელმწიფო სათათბირო.** სახალხო განათლების მინისტრს კასოს ჯერაც არ წარმოუდგენია საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელთათვის პასუხი იმ კითხვებზე, რომლითაც მას მიმართეს უმაღლესი ტიპის პირველდაწყებით შკოლებთან მშობლებთა კომიტეტისა და მზრუნველთა საბჭოს მოწყობის შესახებ. სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შესახებ მომხსენებელი ფიქრობს, რომ განათლების მინისტრი სულაც არ გასცემს პასუხს კითხვებს და ამისთვის საჭიროა, სათათბირომ მიმართოს მინისტრს ამ პასუხების გამოო.

**პიროგოვის დღე.** იაროსლავში პიროგოვის დღემ სუსტათ ჩაიარა; ყაზანში მოგროვდა 1750 მანეთი, ხოლო რიაზანში—800 მანეთი.

**ხარკოვის გუბერნატორი.** ხარკოვის გუბერნატორმა მასალსკი-კოშურამ „კიევსკაია მისლში“ შემდეგი საყურადღებო წერილი რედაქციისადმი მოათავსა: „ყოველივე სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, თითქო მე მცველებით დავდიოდე; თუმცა არა ერთჯერ დამესხნენ რევოლუციონერები, მაგრამ მე მაინც საკმარისათ მიმაჩნია თავის დაცვისთვის თან მქონდეს კარგი სისტემის „ბრაუნინგი“.

**ქურდობა მუზეუმში.** კიევის მუზეუმში, რომელიც მოთავსებულია ქალაქის შუა გულში ვიცეგუბერნატორის ბინის გვერდით, 25 ნოემბერს ბოროტგამზრახველებმა გაქურდეს. წაიღეს ბევრი ძვირფასი ნივთი და ძველი ფული.

## უცხოეთი.

**რუსის ინსტრუქტორები მონგოლეთში.**

მონგოლეთის მთავრობის სურვილი—მონგოლეთის ჯარის გაწრთვნისა და ინსტრუქტორთა ბრიგადის გარდაქმნის შესახებ გამოიხატება შემდეგში: მონგოლეთის მთავრობას სურს, რომ რუსეთმა დააარსოს ურგაში სამხედრო სასწავლებელი, რომელშიც რუსი ინსტრუქტორები ასწავლიან და შექმნიან მონგოლეთის ინსტრუქტორთა კადრებს.

მონგოლეთის ნასწავლი ინსტრუქტორები-კი გაიგზავნებიან ურგიდან მთელ მხარეს და შეასწავლიან მცხოვრებთ სამხედრო საქმეს. ამგვარათ მონგოლეთის ყველა მამაკაცი იქნება ნასწავლი და შეიარაღებული სამელიციოთ.

მონგოლეთის ყველა მცხოვრების შეიარაღების პროექტი იწვევს ბევრ წინააღმდეგობას. რადგან, თუ ეს განხორციელდა, შესაძლებელია, მაშინ კერძო სახანოები შეიარაღების მხრით ცენტრალურ მთავრობაზე ძლიერი აღმოჩნდენ. ასეთი ძალათა განწყობილება კი უფლების მოყვარულ თავადებს გააბედვიებს მონგოლეთში მწვავე სისხლის მღვრელ შინაური განხეთქილების მოხდენას.

**ანარქია შეკინში.**

„თეთრმა მგლებმა“ მთელი ხუბეის პროვინცია დაიჭირეს. მათ წინააღმდეგ გაგზავნილმა ჯარმა ვერა გააწყო: ვიცე-პრეზიდენტმა დებეშით სთხოვა, გაგზავნონ ჟანდარმთა ბატალიონი, რათა მშვიდობიან მცხოვრებთა ინსურგენტებთან შეერთება შეაჩერონ.

**ინგლისელები ტიბეტში.**

ინგლისსა და ტიბეტს შორის ხელშეკრულობა დაიდვა. ამ ხელშეკრულობის ძალით ინგლისელებს ენიჭებათ დიდი უფლება. ტიბეტის პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოთ ყველა მხარე მისი შინაური ცხოვრებისა ექვემდებარება ინგლისის კონტროლს.

**სენსაციური აპერაცია.**

პრაგაში, სადოსტაქრო კლინიკაში, ასისტენტმა ხორაკმა მოახდინა სენსაციური აპერაცია.

ქალიშვილს, რომელსაც გაფუჭებული ქონდა მკლავის ძვალი იდაყვამდი, ამოიღო და მის მაგიერ ჩასდვა იმნაირივე ძვალი, რომელიც ამოართვა იქვე ახლათ მიცვალებულ ქალიშვილს. სამ კვირას შემდეგ მორჩენილმა ქალიშვილმა ამ ხელით თავისუფლათ დაიწყო მუშაობა.

## ჭიათურა.

შავიქვის მრეწველთა საბჭოს მიერ არჩეულია სანიტარები, რომ ყურადღება მიექციათ სანიტარული მდგომარეობისათვის, სისუფთავე დაეცვათ და უვარგისი სანოვაგის გაყიდვისათვის თვალყური ედევნებიათ. ბაზარი, ქუჩები და მდ. ყვირილას ნაპირები სიბინძურით სავსეა. ქუჩებში გადმომდგარია ფეხისადგილები. ყველა ეს ხელს უწყობს სხვადასხვა გადამდები ავათმყოფობის გავრცელებას.

სულ არავითარი ყურადღება არ აქვს არავისგან ჭიათურაში მუშა ცხოველებს.

მძიმე ტვირთით დაქანცული და კისერდახეთქილი ხარები ვერ ერევიან უღელს და მწარე ცემაში კვდებიან. აუცილებლათ საჭიროა, დაარსდეს აქ ცხოველთა მფარველი საზოგადოება.

ერთი უმზგავსო მოვლენაც უნდა აღვნიშნო. აქ მუშებში ბევრია ისეთი ვაჟბატონი, რომელთა თავგასულობასაც საზღვარი არ აქვს. ავალებენ ძველსა და ახალ მუშებს სხვადასხვა გადასახადებს: ამა და ამ პირის სასარგებლოთ უსათუოთ უნდა გადაიხადოთ 5 შ., ამა და ამ საქმის სასარგებლოთ 14 შ. და გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ შაური—სულ, 1 მ. ასე რომ ძალაუნებურათ და არა შეძლებისადაგვარათ. გაზ. „მერცხლის“ 7 ამ თვის ნუმერში „ახალ ამბებში“ მოთავსებულია, ვითომ ც. თოდრიამ შეკრიბა თავის თანამოაზრეთა და საბჭოს გზის მუშათა შორის ამდენი და ამდენიო... რისი თანამოაზრე! ხელქვეით მუშას უბძანებენ და ისიც იხდის.

შ. ძმისელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს გაზეთში.

განსვენებულის ნატალია დავითის ასულის ჟორდანიას მეუღლის ცხედარზე მიტანილი გვირგვინებ სა და სხვა ნივთებიდან შემოსული ფული—95 მანეთი მამა მისმა თ—მა დავით ნიჟარაძემ კეთილინება და შემოსწირა ჩვენს ღარიბს სამკითხველოს განსვენებულის სახსოვრათ.

აღსანიშნავია, რომ განსვენებული ნატალია დავითის ასული სიცოცხლეში სამკითხველოსთვის დაუღალავათ ზრუნავდა და სიკვდილს შემდეგაც ეს 95 მანეთი მოხმარდება იმის საყვარელ საქმეს, ნაოლალევის სამკითხველოს.

გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს თ—დს დავით ოტიასძეს ნიჟარაძეს ამ შ მოწირულობისთვის.

გამგეობის თავჯდომარე გიორგი დოლიძე, მდივანი გამგეობისა ს. ქუთათელაძე.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო
ნ. ასათიანისა და ი. კერესელიძის.
ქ. ქუთაისი ალექსანდრეს ქ. სახლი თევდორაძისა.
ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს 1/2 წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.

საცვლების მკერავი ქალი
სალომე უკლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.
ბალახვანის ქ. სახლი გრიგოლიასი № 64.

გამოცემა „სორაპანისა“
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული
კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 2 აბაზი
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერა საღებავით სუფთად და ლამაზათ.
სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც შარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგ ადრესით: თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“.

ა. ი. კოსტავას
ევროპიულ მაღაზიაში
(თფილისის ქუჩა, ქალაქის აფთიაქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
დანიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფასები უმაღლოთ.

აქციონერული საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა
იზმაილოვის პროსპ. № 27.
პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიცნ-ნოვგ.
Beaute duteint
გლიცერინის რძე—ისრის რძე.
საუცხოოთ არბილებს, აჩვილებს და ახავერდებს კანს.
იყიდება კავკასიის ყველა საათფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

ხრესილი.
სამკურნალო აბანო
ძვირფასი მთის არეზე
ძმ. ყორყოლაძეების
ფაქიზი თვალით ახლად მოწყობილი.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

КУРСЫ кройки и шитья для дамъ и дѣвицъ. | ПРІЕМЪ заказовъ на элегантные дамскіе наряды
М-me МАРИ
На-сколко важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что специальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) заработывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курситокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.
Тутъ же при курсахъ открыта мною специальная мастерская для пріема заказовъ исключитеьлно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно-изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.
Адресъ: Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.
Съ почтеніемъ М-me МАРИ.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.